ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ფ

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ლ. ო /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.08.2015
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 067/15
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. დ-ის მიმართ /სიითი №/
საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. დ-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 18 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ფ-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. დ-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ნ. დ-ის სახელზე 2014 წლის 14 იანვარს გააფორმა მინდობილობა, რათა მის საქმეზე საბოლოო შედეგის დადგომამდე დაეცვა საჩივრის ავტორის ინტერესები სასამართლოს სამივე ინსტანციაში. ი. ფ.-ს ადვოკატისთვის გადახდილი აქვს 650 ლარი, რაც მოიცავდა სახელმწიფო ბაჟის ხარჯებსაც.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი უნდა დახმარებოდა სამოქალაქო დავის მოგვარებაში, რაც ეხებოდა საზიარო უფლების გაუქმების საკითხს, რომელსაც მოსარჩელე მხარე ითხოვდა. კერძოდ, ადვოკატს სასამართლოში უნდა შეეტანა შეგებებული სარჩელი და არ შეიტანა დროულად, ადვოკატმა აღნიშნული დოკუმენტი დაგვიანებით წარადგინა, რის მიღებაზეც სასამართლომ უარი

უთხრა. ადვოკატმა არ მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარება რამდენიმე ექსპერტის მიერ და არ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. დ-მ წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების გაწევა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა ვერ მოასწრო ახალი ადვოკატის აყვანა და გადაწყვეტილების გასაჩივრება, რის გამოც მას მიადგა ქონებრივი ზიანი. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორის თქმით, მან ნ. დ-ის სახელზე 2014 წლის 14 იანვარს გაფორმებული მინდობილობა 2014 წლის 04 აგვისტოს გააუქმა.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ადვოკატ ლ. ო-ის განმარტების მიხედვით, ი. ფ-ს სურდა საზიარო ქონების გაყოფა, რაც შესაძლებელი იყო, ისე, რომ ქონების ღირებულება არ შემცირებულიყო, თუმცა ექსპერტიზის დაკვნა ამ საკითხზე იყო უარყოფითი. ადვოკატ ლ. ო-ის განცხადებით, საჩივრის ავტორს სურდა ახალი ექსპერტიზის ჩატარება, რაც შესაძლებელი იყო.

1.5 საჩივრის ავტორის 2016 წლის 06 აპრილის ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, ის სასამართლო პროცესებს ესწრებოდა. ადვოკატმა ნ. დ-მ საჩივრის ავტორს უთხრა ახალი ექსპერტიზის ჩატარებისა და მისი ხარჯების შესახებ, თუმცა საჩივრის ავტორის თქმით, ის ამდენი თანხის გადახდას ვერ შეძლებდა და არც სხვაგან დაუზუტებია ექსპერტიზის საფასური.

1.6 ია ფოფხაძის განცხადებით, მას ზუსტად არ ახსოვს სასამართლო სხდომის დასრულების შემდგომ განაცხადა თუ არა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2014 წლის 19 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილება ფოსტით ჩაიბარა, თუმცა უნდოდა თუ არა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, ამის თაობაზე ადვოკატისთვის არ უთქვამს. საჩივრის ავტორს ზუსტად არ ახსოვს ადვოკატმა გასაჩივრების თაობაზე რა ურჩია. ასევე, საჩივრის ავტორს არ ახსოვს ნაწილობრივ ცნო თუ არა მოწინააღმდეგე მხარის სარჩელი საზიარო უფლების გაუქმებაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა 2015 წლის 07 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, ი. ფ-მ მას მიმართა 2014 წლის 10-12 იანვარს და უთხრა, რომ მის მიმართ მის რძალსა და ძმიშვილს ჰქონდათ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში შეტანილი სარჩელი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი არ აპირებდა შეგებებული სარჩელის წარდგენას, რადგან სურდა მხარეებთან მორიგება. შესაბამისად, მან მოამზადა შესაგებელი, რომელიც 2014 წლის 27 იანვარს წარადგინა სასამართლოში.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან განუმარტა ი. ფ-ს თუ რას წარმოადგენდა შეგებებული სარჩელი და ასევე განუმარტა თავისი უფლებები. ადვოკატის განმარტებით, შესაგებელში მითითებულია, რომ, ი. ფ თანახმა იყო დაეტოვებინა სადაო სასტუმრო მოსარჩელეებისათვის შესაბამისი კომპესაციის მიცემის პირობით. ადვოკატის განმარტებით, სწორედ ამ მიზეზით, სასამართლო სხდომაზე ცდილობდნენ მორიგებას, თუმცა უშედეგოდ.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2014 წლის 25 თებერვალს შეგებებული სარჩელი შეიტანეს სასამართლოში, თუმცა მოსამართლემ მოსამზადებელი ეტაპი დასრულებულად მიიჩნია და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან, შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული, ცალკე სარჩელი უნდა შეეტანათ სასამართლოში, რაზეც ი. ფ.-ის ინიციატივას ელოდებოდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ხანდაზმულობის ვადა არ გასულა და სარჩელის შეტანა დღესაც შეიძლება. ნ. დ-ის თქმით, სასამართლო გადაწყვეტილება გადასცა საჩივრის ავტორს და მასთან შეთანხმებული იყო, რომ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებდა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ექსპერტიზის განმეორებით დანიშვნის წინააღმდეგი იყო, რადგან მოლაპარაკების გზით სურდა საკითხის გადაწყვეტა. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყვებოდა სარჩელით მიმართავდნენ სასამართლოს.

2.6 ნ. დ-ის განმარტებით, საჩივრის ავტორის უფლება იყო აერჩია მისთვის სასურველი გზა საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატი მხოლოდ სამართლებრივ კონსულტაციას უწევდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ამჟამად, ი. ფ თავის სასტუმროში ცხოვრობს და შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრება მისთვის არ იყო ხელსაყრელი, აგრეთვე, როგორც მისთვისაა ცნობილი საჩივრის ავტორმა მიაღწია მორიგებას რძალთან და ძმიშვილთან.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2015 წლის 01 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. დ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა დადგენილ ვადაში არ შეიტანა შეგებებული სარჩელი სასამართლოში, არ მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარება და არ გაასაჩივრა სასამართლო გადაწყვეტილება, რის შემდეგაც გაფრთხილების გარეშე შეწყვიტა საჩივრის ავტორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, სავარაუდოდ, დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები.

3.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატ ნ. დ-ის მიერ შეგებებული სარჩელის დაგვიანებით წარდგენამ და განმეორებითი ექსპერტიზის არდანიშვნამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნა საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის ინტერესებს.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ შესაძლოა, ადვოკატმა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ეტაპზე, გაფრთხილების გარეშე შეწყვიტა საადვოკატო მომსახურება, რა დროსაც საჩივრის ავტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას ესარგებლა სხვა ადვოკატის მომსახურებით და გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება, შესაძლოა აღნიშნულმა ქმედებამ საჩივრის ავტორს მიაყენა ზიანი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ადვოკატ ნ. დ-ს უნდა წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები სასამართლოში საზიარო უფლების გაუქმების და მისი შემდგომი რეალიზების საქმეზე.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

4.2 საჩივრის ავტორმა თავისი ინიციატივით გააუქმა ნ. დ-ის სახელზე 2014 წლის 14 იანვარს გაფორმებული მინდობილობა 2014 წლის 04 აგვისტოს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *მინდობილობის გაუქმება (№) რეგისტრაციის თარიღი 2014 წლის 04 აგვისტო;*

4.3 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ადვოკატ ნ. დ-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი შესაგებლის მიხედვით, ი. ფ საზიარო უფლებას დათანხმდებოდა, საზიარო საგნის მის საკუთრებაში დატოვებით, შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მოპასუხეების : ი. ფ-ის, ნ. გ-ის, უ. გ-ის 2014 წლის 27 იანვრის შესაგებელი.

4.4 ადვოკატმა ნ. დ-მ საჩივრის ავტორს შესთავაზა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება მის საქმეზე.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის სხდომის ოქმი (ს.ფ.147);

4.5 საჩივრის ავტორს ფოსტით ჩაბარდა 2014 წლის 19 მარტის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის სხდომის ოქმი (ს.ფ.148);

4.6 საჩივრის ავტორი ადვოკატ ნ. დ-სთან ერთად ესწრებოდა თავის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომებს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 06 აპრილის სხდომის ოქმი (ს.ფ.149);

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. დ-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ ნ. დ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

6.1.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

6.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლების ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

6.2 განსახილველ შემთხვევაში, დასტურდება, რომ ადვოკატი ნ. დ. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც მოპასუხე მხარის ინტერესებს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით.

6.3 საჩივრის ავტორის მიერ 2016 წლის 06 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, დასტურდება, რომ მან უშუალოდ, ფოსტის მეშვეობით ჩაიბარა 2014 წლის 19 მარტის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (ს.ფ. 129), თუმცა მას არ უცნობებია ადვოკატ ნ. დ-ისათვის, რომ მისი გასაჩივრება სურდა. ადვოკატ ნ. დ-ის განმარტების მიხედვით, საჩივრის ავტორის ინტერესებს არ წარმოადგენდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს, ფოსტის მეშვეობით სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების შემდგომ, ჰქონდა შესაძლებლობა ადვოკატისათვის ეცნობებინა, სურდა თუ არა მოცემული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

6.4 ადვოკატ ნ. დ-ის, როგორც ი. ფ-ის წარმომადგენლის მიერ სასამართლოში წარდგენილი შესაგებლის მიხედვით, დასტურდება, რომ ი. ფ-მ, როგორც მოპასუხე მხარემ ნაწილობრივ სცნო მოცემული სარჩელი, რაც ეხებოდა საზიარო უფლების გაუქმებას, იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგანი დარჩებოდა მის საკუთრებაში, შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ. საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ თავის ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ არ ახსოვს ცნო თუ არა სარჩელი ნაწილობრივ. განსახილველ შემთხვევაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სხდომის ჩანაწერით დასტურდება, რომ ი. ფ ესწრებოდა სასამართლო პროცესს, რომლის დროსაც მოსამართლემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოპასუხე მხარე თანახმა იყო თანხა გადაეხადა მოსარჩელე მხარისათვის, შესაძლებელი იყო საქმის მორიგებით დასრულება (ოზურგეთი რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის სასამართლო სხდომის ჩანაწერი, №). მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა სასამართლო პროცესზე დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებოდა აღნიშნულ გარემოებას.

6.5 მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ ადვოკატმა ნ. დ-მ არ უზრუნველყო საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, მათ შორის, არ წარადგინა შეგებებული სარჩელი სასამართლოში, არ დანიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის ახსნა-

განმარტების მიხედვით, დასტურდება, რომ ადვოკატს არ უთქვამს უარი ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებაზე, არამედ, თავად, საჩივრის ავტორს აღარ სურდა ექსპერტიზის დანიშვნა, იმ მიზეზით, რომ ადვოკატმა დიდი თანხა დაუსახელა, რაც ექსპერტიზის დანიშვნისთვის იყო საჭირო.

6.6 განხილვის კოლეგია, აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ადვოკატმა ნ. დ-მ თავისი ინიციატივით შეწყვიტა საადვოკატო მომსახურება. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების მიხედვით, მან თავად გააუქმა ადვოკატ ნ. დ-ის სახელზე გაფორმებული მინდობილობა, იმ მიზეზით, რომ ის არ იყო კმაყოფილი მისი მომსახურებით.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 21-ე, 33-35 მუხლებით, 37 მუხლით, 40-ე მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №067/15 ადვოკატ ნ. დ-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/